საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დაგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის თანადაფინანსებისა და საგარანტიო მიმართულებების ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ მეწარმე სუბიექტებზე გაცემული სესხის თანადაფინანსებისა და ამ სესხზე საკრედიტო გარანტიის უზრუნველყოფის თაობაზე

დანართი №..

1. ტერმინთა განმარტება

დადგენილება - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;

პროგრამა - სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;

საკრედიტო საგარანტიო სქემა - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №163 დადგენილება საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

დანართში გამოყენებულ სხვა ტერმინებს ენიჭება პროგრამით განსაზღვრული მნიშვნელობა.

2. დანართის მიზანი

წინამდებარე დანართის მიზანია პროგრამის ბენეფიციარის მიერ სააგენტოს წინაშე ნაკისრი ვალდებულების თავმოყრა/დემონსტრირება. აღნიშნულ დანართზე ხელმოწერით ბენეფიციარი ადასტურებს და აცნობიერებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დანართზე ხელმომწერი პირი არ გახლავთ სააგენტო, დანართში მოცემული ვალდებულებების დარღვევისათვის ბენეფიციარი პასუხისმგებელია სააგენტოს წინაშე.

3. მხარეთა შეთანხმებული პირობები

3.1. ბენეფიციარი აღიარებს და ადასტურებს, რომ იგი სრულად გაეცნო დადგენილებას, საგარანტიო სქემის დადგენილებას, ასევე, სრულად გაეცნო პროგრამას, საგარანტიო სქემის პროგრამასა და მათგან გამომდინარე ვალდებულებებს (მათ შორის, თანადაფინანსების/საკრედიტო საგარანტიო სქემით სარგებლობის შეწყვეტისა და თანადაფინანსების

თანხების უკან დაბრუნების საფუძვლებს) ასევე, სამომავლოდ სრულად გაეცნობა მათში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას/დამატებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2. ბენეფიციარი ვალდებულია პროგრამაში მონაწილეობის ვადით საკუთრებაში ან სარგებლობაში იქონიოს (გარდა სასტუმრო/ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიისა, რომელიც რეგულირდება ამ დადგენილების 12[27] მუხლის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების შესაბამისად) ის უძრავი ქონება, სადაც ხდება მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.

3.3. ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს მის მიერ მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად. ადაპტირების ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე მას სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ჯარიმა 200 ლარის ოდენობით, რომელიც ჩარიცხულ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინაში არაუგვაინეს 30 დღის ვადაში და ბენეფიციარს მიეცემა 6 თვიანი ვადა ადაპტირებისათვის.

3.4. ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს თანამშრომლების შერჩევის ეტაპზე, ერთი და იმავე კვალიფიკაციის კანდიდატების შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ(ებ)ისათვის უპირატესობის მინიჭება. ამ ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე ბენეფიციარს, სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ჯარიმა 200 ლარის ოდენობით, რომელიც ჩარიცხულ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინაში არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

3.5.ბენეფიციარი ვალდებულია სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში კრედიტის დადასტურებიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვისა აითვისოს კრედიტი/კრედიტის ტრანში, არანაკლებ დადგენილებით გათვალისწინებული მინიმალური ოდენობით. ამ ვადის დარღვევით კრედიტის/კრედიტის ტრანშის გაცემის შემთხვევაში, სააგენტო არ განახორციელებს ამ კრედიტზე თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვას და ბენეფიციარი დაკარგავს პროგრამის ბენეფიციარის სტატუსს. თუმცა, ბენეფიციარი უფლებამოსილი იქნება პროგრამით სარგებლობის თაობაზე ხელახლა მიმართოს ბანკს დადგენილებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

3.6. ბენეფიციარი ვალდებულია მოახდინოს სესხის სრული ოდენობით ათვისება/აღება სააგენტოს მიერ შესაბამისი დადასტურებიდან 2 წლის მანძილზე. ამასთან, 2 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ ბენეფიციარის მხრიდან სესხის ათვისების/აღების შემთხვევაში, სააგენტო თანადაფინანსებას განახორციელებს სესხის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც გაცემულ იქნა დადასტურებიდან 2 წლის ვადაში.

3.7. ბენეფიციარი ვალდებულია, ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს სააგენტოს ფინანსური და სხვა სახის მოთხოვნილი ინფორმაცია სააგენტოს მიერ

შემუშავებული ფორმის შესაბამისად. ამასთან, ბენეფიციარის მხრიდან ამ ვალდებულების დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე, მას სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრება ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, რომელიც გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინაში დაჯარიმებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

4. საკრედიტო საგარანტიო სქემის პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში მხარეები დამატებით თანხმდებიან:

4.1. ბენეფიციარი ვალდებულია საქმიანობის ფარგლებში წარმოება/მომსახურების მიწოდება დაიწყოს საგარანტიო სქემის დადგენილებით გათვალისწინებულ ვადებში.

4.2. ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს წარმოების/მომსახურების მიწოდების დაწყებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში საქმიანობის პროფილის შენარჩუნება, თუმცა არანაკლებ საკრედიტო გარანტიის მოქმედების ვადისა. ამასთან, წინამდებარე პუნქტის დარღვევად არ მიიჩნევა საქმიანობის პროფილის ისეთი ცვლილება, რომელიც თავსდება უნივერსალური ნაწილის დადგენილების დანართი N1[1]-ით განსაზღვრულ ეკონომიკური საქმიანობის სახეების ჩამონათვალში. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიციარს დაეკისრება პირგასამტეხლო საგარანტიო თანხის 10 (ათი) %-ის ოდენობით. ამასთან, ბანკი ვალდებულია დროის გაჭიანურების გარეშე დაიწყოს ამოღების ღონისძიებები და ამოღებული თანხა სრულად ჩარიცხოს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

4.3. ბენეფიციარი ვალდებულია კრედიტის თანხა სრულად აითვისოს სააგენტოს მიერ შესაბამისი დადასტურებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში, ხოლო საგარანტიო სქემის დადგენილებით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში 3 (სამი) წლის განმავლობაში. ამასთან, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ამ სესხზე ტრანშის გაცემა არ დაიშვება.

5. სხვა პირობები

5.1. სააგენტო უფლებამოსილია ბენეფიციარის სტატუსით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ბანკთან, ბენეფიციართან ან/და დაკავშირებულ ხელშეკრულებაში მითითებულ პირ(ებ)თან წინასწარი შეთანხმების გარეშე, სააგენტოს მიერ დადგენილი სიხშირით და პერიოდულობით, განახორციელოს კრედიტის მიზნობრიობის მონიტორინგი, მათ შორის შესაბამისი წარმომადგენლ(ებ)ის ადგილზე ვიზიტის გზით.

5.2. თუ მეწარმე სუბიექტის მიერ მოთხოვნილია სესხზე როგორც თანადაფინანსების, ასევე საგარანტიო მიმართულების გამოყენება, საგარანტიო მიმართულების აღსრულების მიზნით იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 163 დადგენილების შესაბამისად და ამ პროგრამის

მარეგულირებელი დადგენილების საგარანტიო მიმართულების ფარგლებში დაწესებული გამონაკლისების გათვალიწინებით.

5.3. ბენეფიციარი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სახის მარკეტინგული ვალდებულებები:

5.3.1. საქმიანობის განხორციელების ადგილას განთავსდეს აბრა წარწერით: „პროექტი განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით“.

5.5.2. საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით, სატელევიზიო გამოსვლისას, ბენეფიციარი ვალდებულია მოიხსენიოს სააგენტოს მხარდაჭერის თაობაზე.

5.3.3. ბენეფიციარის პროექტის გახსნა დაიგეგმოს სააგენტოსთან ერთად (აღნიშნული არ ავალდებულებს სააგენტოს ბენეფიციარის მიერ გახსნის ორგანიზებაში მონაწილეობას).

5.3.4. ბენეფიციარის მიერ პროდუქციის ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში, შეატყობინოს სააგენტოს აღნიშნულის თაობაზე.

5.3.5. ბენეფიციარის მიერ წარმოებულ პროდუქტზე ასახულ ლოგოსთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად განთავსებულ იქნას სააგენტოს ლოგოც (მითითებული სახით):

აწარმოე საქართველოში

ინგლისური ლოგოს შემთხევაში გამოყენებულ იქნას სააგენტოს ინგლისური ლოგოს ნიმუში (მითითებული სახით):

ENTERPRISE GEORGIA

5.4. აღნიშნული დანართის 5.5 პუნქტის (მარკეტინგული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბენეფიცია პირველ კერზე ეძლევა გაფრთხილება, ხოლო ხარვეზის მეორედ აღმოჩვენის შემთხვევაში ეკისრება ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

5.5. სააგენტოში დაცული ინფორმაცია, სახელწიფო პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარის მიმართ განცორციელებული მიზნობრივი თანადაფინანსების თაობაზე (მათ შორის და არა მხოლოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელებული თანადაფინანსებისა და საკრეიდტო-საგარანტიო მოცულობის ოდენობა, ბენეფიციარის საინდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემები) საჯაროა.

5.6. ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი უფლებამოსილია პროგრამის ფარგლებში გაცემული/რესტრუქტურიზებული/ რეფინანსირებული კრედიტ(ებ)ის შესახებ ბანკის ხელთ არსებული ნებისმიერი/ყველა ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და ბენეფიციარის შესახებ ბანკში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ნებისმიერ დროს სრულად მიაწოდოს სააგენტოს.

5.7. პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სააგენტოს მიერ წყდება დადგენილების მე-12[34] მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომისას.

მხარეთა ხელმოწერები

ბანკი	ბენეფიციარი
_____	_____
	.....
	.....